ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №16

24 ნოემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნინო კვიტაიშვილი და გიორგი შარაშიძე.

მოწვეული სტუმრები:
1. გიორგი ტყემალაძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ნინო კაშია – სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ;
3. მაია მაისურაძე – სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;
4. ნათია ფერაძე – სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის მდივანი;
5. ნინო კანდელაკი – სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
6. ია ვადაჭკორია – სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
7. ლეილა თანდაშვილი – ალექსანდრე თანდაშვილის დედა;
8. მაია კივილაძე – ბესარიონ კივილაძის და;

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
მომხსენებელი: ნინო კაშია
თანამდებობა: სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი, რომელიც შეეხებოდა სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭებას. კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, სკოლისთვის სახელის მინიჭების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ჩვენი ვალდებულებაა გმირების

სახელების უკვდავყოფა. ჩვენთვის დიდი პატივია სკოლის სახელდების პროცესში, თანხმობის ნაწილში ვიყოთ ჩართულნი.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ნინო კაშიას, რომლის განცხადებით, სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლაში დარეგისტრირდა მოქალაქე ნატა მინდელი-კივილაძის №1333580 და ლეილა თანდაშვილის №112692 განცხადებები სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. ნინო კაშიამ ისაუბრა ბესარიონ კივილაძისა და ალექსანდრე თანდაშვილის ბიოგრაფიასა და დამსახურებაზე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ კივილაძე დაიბადა თბილისში, 1961 წლის 26 დეკემბერს. 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 132-ე საშუალო სკოლა (ყოფილი №32 საჯარო სკოლა), ხოლო 1985 წელს გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტი; 1989 წელს მოიპოვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1991 წელს მიწვევით იმყოფებოდა ჰელსინკის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ერთობლივი კვლევის ჩასატარებლად, ხოლო 1992 წელს ჰქონდა განმეორებით მიწვევა, თუმცა მან უარი თქვა საზღვარგარეთ კვლევებზე. აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე მოხალისედ გაემგზავრა ფრონტის ხაზზე. 1993 წლის 22 სექტემბერს, ბაბუშარას აეროპორტში მტრის მიერ ჩამოგდებულ თვითმფრინავში იმყოფებოდა. ბესარიონ კივილაძეს ჰქონდა ლეიტენანტის წოდება, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

ნინო კაშიამ ისაუბრა ალექსანდრე თანდაშვილის გმირობის შესახებ და აღნიშნა, რომ იგი სწავლობდა მე-3 გიმნაზიაში (ყოფილი №32 საჯარო სკოლა), იყო სპეცრაზმელი, მესაზღვრე, მშვიდობისმყოფელი ერაყში. მონაწილეობდა 9 აპრილის აქციაში. აფხაზეთის ომში მძიმედ დაიჭრა. ალექსანდრე თანდაშვილი დაიღუპა 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში. სიკვდილის შემდეგ, მხედრული მამაცობისთვის მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი.

სკოლისთვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, 2022 წლის 27 ოქტომბერს ჩატარდა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა სსიპ ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების ინიციატივა. სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ საკითხი ერთხმად იქნა მხარდაჭერილი. ნინო კაშიას განმარტებით, 2022 წლამდეც განმცხადებლებს არაერთხელ მოუმართავთ სკოლისთვის, მაგრამ სკოლა ვერ აკეთებდა არჩევანს გმირებს შორის, იმისთვის რომ ჩრდილი არ მიეყენებინა რომელიმე მათგანისთვის ერთ-ერთის სახელის მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღებით. აქედან გამომდინარე, სამეურვეო საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია სკოლას მიენიჭოს ორივე გმირის სახელი, ხოლო სახელწოდება ჩამოყალიბდეს მათი გარდაცვალების თარიღების მიხედვით, კერძოდ: პირველად განისაზღვროს ბესარიონ კივილაძის სახელი, ხოლო შემდეგ ალექსანდრე თანდაშვილის.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: კახაბერ ლაბუჩიძემ, ზურაბ ჩიკვილაძემ, ნინო კვიტაიშვილმა და გიორგი შარაშიძემ.

კომისიის წევრებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის ოჯახის წევრებს.

კახაბერ ლაბუჩიძემ სხდომაზე განმარტა საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები და დასძინა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნინო კაშიას მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელსაც ტექნიკური ხარვეზი აქვს, კერძოდ: განცხადებას არ დაერთვის შემდეგი დოკუმენტაცია (დანართის სახით):

- ნატა მინდელი-კივილაძის და ლეილა თანდაშვილის განცხადებები სკოლის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით;
- განმცხადებლების/ინიციატორების ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ;
- ბიოგრაფიული ცნობები პიროვნების შესახებ (გარდაცვალების მოწმობები; სამხედრო მოკვლევები და ჯილდოები).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ინიციირებულ იქნება „სსიპ ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, შემდეგი პირობით: „განკარგულების გამოცემიდან სამი კვირის ვადაში, სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის მხრიდან განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, წინამდებარე განკარგულება ჩაითვალოს ძალადაკარგულად მისი გამოცემის დღიდან".

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, **„სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიციირების დადებითად შეფასების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, „სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიციირების საკითხს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 67-

ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა